

გერონტი ქიქოძე – ქართული ლიტერატურის მკვლევარი

ქართული ლიტერატურის ისტორიის ერთიან სისტემაში გააზრებისა და სისტემატიზების პირველი მცდელობა მე-19 საუკუნეს უკავშირდება. იმდროინდელი ანალიტიკოსების კვლევის ძირითადი საგანი „ქართული მწერლობის წინაშე მდგომი პრობლემებისა და ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებების გააზრება იყო“ (ციციშვილი, მოდებაძე 2013: 177). მე-19 საუკუნის ლიტერატურის ისტორიის პირველი კურსი კიტა აბაშიძემ შექმნა, რომლის მიზანი იყო ქართული მწერლობის „ევოლუციის საერთო სურათის ჩვენება, რათა ლიტერატურული პროცესი დახასიათებულიყო მთლიანად მის განვითარებაში“ (ციციშვილი, მოდებაძე 2013: 188). კიტა აბაშიძის თეორიული ოპუსები ქართული ლიტერატურული კანონის ფორმირებისათვის საეტაპო მნიშვნელობისა გახლდათ. ლიტერატურის ისტორიისა და კლასიკოსი ავტორების შემოქმედებითი დისკურსის სისტემური კვლევის მეტოდოლოგია მეოცე საუკუნეში განავითარა გერონტი ქიქოძემ, აღიარებულმა, ერუდირებულმა ანალიტიკოსმა, რომლის ნაშრომებს სხვადასხვა პერიოდის ქართული მწერლობის შესწავლისა და ავტორთა კანონიზებისათვის კონცეპტუალური ღირებულება აქვს.

მეცნიერის კვლევის არეალში ძველი ქართული საერო მწერლობის უმნიშვნელოვანეს ნარმომადგენელთა მხატვრული ნაზრევი მოხვდა. გერონტი ქიქოძემ შოთა რუსთაველსა და მის პოემას რამდენიმე ნაშრომი უძღვნა. წერილში „თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის პორტრეტისათვის“ მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მორალური იდეები და მსოფლმხედველობა „რაინდული წრიდან გამოსული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი“, პოეტის მიერ საგნებისა და ადამიანების ცოდნა კი პოემაში ყველაზე უკეთ სიყვარულის ვნების ასახვაში გამოიხატა.

ვრცელი ოპუსი „შოთა რუსთაველი“ (1937) „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლაში ვახტანგ მეექვსის ღვაწლს წარმოაჩენს. გერონტი ქიქოძე შენიშნავს, რომ მეფე-პოეტმა პოემა პირველად დაბეჭდა და კომენტარები დაურთო მას, მანვე სწორად გადაწყვიტა ნაწარმოების ორიგინალობის საკითხი. მეცნიერის დაკვირვებით, ლექსემა „ამბავი სპარსული“ ერთგვარი მისტიფიკაციის სურვილითაა ნაკარნახევი. მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების არეალი უცხოეთშია, მაგრამ რუსთაველი „საკემოდ რელიეფურად ასახავს არა მარტო საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, გემოვნებას და იდეოლოგიას, არამედ მთავარ პოლიტიკურ ამბავსაც“ (ქიქოძე 1963: 18).

ქიქოძის რეცეფციით, შოთა რუსთაველი „ამთავრებს გრძელ პერიოდს ქართული ლიტერატურის განვითარებაში“, შემდეგ „იწყება ერთი უბნელესი ეპოქა ქართველი ერის ისტორიაში... ხალხის შეგნებაში დიდი ხნით იჩრდილება სახელმწიფოებრივი

მთლიანობის იდეა“. მე-18 საუკუნის დასაწყისის საქართველოს მკვლევარი „უკან გადასროლილსა და ჩამორჩენილს“, „ვინროდ შემოზღუდულ პროვინციას“ უწოდებს, სადაც ლიტერატურამ და კულტურამ „ადრინდელი ბრწყინვალება და გაქანება დაკარგა“.

კონცეპტუალურია გერონტი ქიქოძის მოსაზრება, რომლის მიხედვით, შოთა რუსთაველის წინამორბედებად ჰაგიოგრაფები სახელდებიან არა „იდეოლოგიითა და ზნეობრივი შეხედულებებით.. არამედ იმ ინტერესით, რომელსაც ისინი სინამდვილისადმი იჩენენ, ადამიანის სულის ღრმა ცოდნით, ადამიანურ გულისთქმათა რეალისტური აასახვით“ (ქიქოძე 1963: 23). მკვლევარი ხაზს უსვამს რუსთაველისეულ „ლიტერატურის რეფორმას“, რაც ქართული სამწერლობო ენის ხალხის ენასთან მიახლოებით გამოიხატა. დიდი პოეტის მიერ გამოყენებული ხალხური ლექსის ზომა, თექვსმეტმარცვლოვანი შაირი, ქიქოძის თქმით, „თითქმის სრულიად უცნობია ძველი მეხოტბეებისა და ჰიმნოგრაფებისათვის“.

უკვდავი პოემის არსს გერონტი ქიქოძე ამგვარად განსაზღვრავს: „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს კლასიკური კულტურის, შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთისა და მუსლიმანური აღმოსავლეთის ელემენტების მეტად ორიგინალურ სინთეზს“ (ქიქოძე 1963: 24), რუსთაველი კი, მისი შეფასებით, უწინარესად „პოეტია და არა ფილოსოფოსი“.

ბიოგრაფიული მონაცემების სიმწირის პირობებში მკვლევარი თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მიხედვით ცდილობს წარმოადგინოს შოთა რუსთაველის სულიერი პორტრეტი და დაასკვნის, რომ „ის არ უნდა ყოფილიყო არც ვინრო სენაკში მომწყვდეული სქოლასტი... ის იყო განათლებული დარდიმანდი, დარბაისელი კარისკაცი და მამაცი მხედარი, ერთსა და იმავე დროს კარგად გამოზრდილი სასახლის პოლიტიკასა და ხმელეთის თუ ზღვის ომში“ (ქიქოძე 1963: 27). რაც შეეხება პოემის იდეოლოგიას, ქიქოძის დაკვირვებით, ის „მრავალ წერტილში თანაემთხვევა დასავლეთ ევროპის რენესანსის იდეოლოგიას“.

მსოფლიო მნიშვნელობის ქართულ ლიტერატურულ ძეგლს ეძღვნება გერონტი ქიქოძის გამოკვლევა „სიბრძნე ბალავარისა (ძველი და ახალი შენიშვნები)“ (1945). მკვლევარი ამ ცნობილი თხზულების ავტორს ღრმა მოაზროვნესა და დიდ მხატვარს უწოდებს, რომელიც იდეოლოგიით თუ მხატვრული ფორმის შეგრძნებით ორი ვრცელი სამყაროს – ბუდისტური აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთის – მიჯნაზე დგას. ქიქოძე ეხება „სიბრძნე ბალავარის“ წარმოშობის საკითხს და მიუთითებს, რომ წიგნში გადმოცემულია მეფისწულ იოსაფატის ანუ იოდასაფის მიერ ინდოეთში ქრისტიანობის გავრცელების ამბავი. ზოგიერთი ევროპელი მეცნიერის მოსაზრებით, ამ თხზულების ტექსტი თავდაპირველად ფალაურ ენაზე დაიწერა და წმინდა ბუდისტური ტენდენცია ჰქონდა. VI-VII საუკუნეებში თხზულება სირიელმა ქრისტიანებმა ფალაურად თარგმნეს, ინდოელი პრინცი და რელიგიური მოღვაწე კი ქრისტიან წმინდანად აქციეს.

გერონტი ქიქოძე არ ეთანხმება ექვთიმე თაყაიშვილის მიერ „ფრთხილად გამოთქმულ მოსაზრებას“, რომლის მიხედვით, „სიბრძნე ბალავარის“ ავტორი საბას ლავრაში მცხოვრები ქართველი ბერი უნდა იყოს, რომ ეს მოთხრობა თავდაპირ-

ველად ქართულ ენაზე დაინერა და ყველა ქრისტიანული რედაქცია (ბერძნული, ლათინური და ახალევროპული) აქედან უნდა მომდინარეობდეს. ქიქოძის დაკვირვებით, „სიბრძნე ბალავარისას“ არაბი რედაქტორი წარმართულ რელიგიას ებრძვის, ქართველი რედაქტორი კი ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე დგას.

ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის „ნიგნი სიბრძნე სიცრუისა“ (1945) გადმოსცემს ქართველი კლასიკოსი მწერლის ბიოგრაფიის მომენტებს, ახასიათებს მის ოჯახს, მის წარჩინებულ ნათესალებს. გერონტი ქიქოძის ცნობით, გვირგვინოსანი მამიდაშვილის, გიორგი XI-ის წყალობით სულხანმა საუცხოო განათლება მიიღო, „ნიგნი სიბრძნე სიცრუისა“ დაასრულა და მეფის დაკვეთით ლექსიკონის შედგენა დაიწყო. წერილში საუბარია გარეჯის უდაბნოში სულხანის ბერად შედგომაზე, მის გამგზავრებაზე ევროპაში, სადაც მწერალმა სამი წელი გაატარა და ოფიციალურად მიიღო კათოლიკობა, აქვე მოთხრობილია 1714 წელს მეფე ლუი XIV-სთან სულხან-საბას შეხვედრაზე, მწერლის ემიგრირებაზე, მის აღსასრულზე.

სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათებისას მკვლევარი ჩერდება „სიბრძნე სიცრუის ნიგნზე“ – ქართული მხატვრული პროზის შედეგზე, რომელიც, მეცნიერის დასკვნით, ორიგინალური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს. წერილში განხილულია „სიბრძნე სიცრუის ნიგნის“ ორი ზნეობრივი ტენდენცია: პესიმისტური და მიზანთროპული. ქიქოძის შენიშვნით, მორალის დამცველად თხზულებაში საჭურისი რუქა გამოდის, ჰუმანიზმის დამცველად – მეფისწულის აღმზრდელი ლეონი.

ოპუსში „დავით გურამიშვილი“ (1955) გერონტი ქიქოძე დიდ პოეტს ქართული ლიტერატურის ისტორიაში „ყველაზე ფუნდამენტურ ფიგურას“ უწოდებს და შენიშნავს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ის ნაციონალურ პოეტად დარჩა. მეცნიერის დაკვირვებით, გურამიშვილი კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრებას“, ბიბლიას, სოლომონ მეფის იგავსა და ეკლესიასტეს, ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებს, აპოკრიფებს, ასევე, ხალხური პოეზიის ნიმუშებს. ამავე დროს, გერონტი ქიქოძე ფიქრობს, რომ დავით გურამიშვილის პოეტური შთაგონების მთავარი წყარო მაინც მის მიერ პირადად განცდილი ამბები და იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეა.

„დავითიანს“ მკვლევარი მწერლის ეპოქის „ისტორიული შემეცნების წყაროს“ უწოდებს და მის ავტორს რუსთაველის მემკვიდრედ მიიჩნევს. ქიქოძის დასკვნით, ამ ორი მწერლის შემოქმედებით დისკურსს განსხვავებასთან ერთად საერთო პუნქტებიც აქვს: მზის კულტი და „ქალ-ვაჟის სიყვარულის იდეალისტური გაგება“. დავით გურამიშვილის გოდება მშობლიური ერის დამხოვის გამო გერონტი ქიქოძეს ბიბლიურ მოტივს ახსენებს: „ასე მხოლოდ ძველი ებრაელები დასტიროდნენ ისრაელის ბედს. ამ გოდებაში სამშობლოს სიყვარული რელიგიურ, მეტაფიზიკურ სიმაღლეზეა აყვანილი“ (ქიქოძე 1963: 56). მეცნიერის დაკვირვებით, გურამიშვილი რუსთაველის შემდეგ ქართული ლექსის პირველი რეფორმატორია, „ქართლის ჭირი“ – ქართული ლიტერატურის ყველაზე პირველი ნიგნი, რომლის მთავარი გმირი ქართველი ერია, მეორე გმირი კი – თვით დავით გურამიშვილი, „რომელიც სისხლით და ოფლით მორწყულ გზას გადის“.

ერეკლე მეორის მრავალრიცხოვან შთამომავალთაგან გერონტი ქიქოძე იოანე ბატონიშვილს გამოყოფს, რომელსაც უცხოელებმა „ყველაზე უფრო კეთილგონიერი და განათლებული“ უფლისწული უწოდეს. გამოკვლევაში „იოანე ბატონიშვილი“ (1940) მიმოხილულია დავით და იოანე ბატონიშვილების ბიოგრაფიები და მოღვაწეობის ასპექტები. წერილში შეფასებულია დავით ბატონიშვილის „ნამდვილი ისტორია, ანუ მოთხრობა ახალი“, რომელიც, ქიქოძის მოსაზრებით, სანდო მასალაა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიისათვის, ხოლო დავით ბატონიშვილის მიერ შედგენილი „სამართლის წიგნი“ ფრანგი რაციონალისტების მოწინავე შეხედულებებზეა აგებული. გერონტი ქიქოძე მოიხსენიებს დავითის მიერ ქართულად ნათარგმნ მონტესკიეს „სპარსულ წერილებს“ და მისსავე თხზულებას „გულისხმისყოფისათვის სჯულთა“. აქვე შეფასებულია ბატონიშვილის ლირიკული თუ სატირული ლექსები, რომანი „ახალი შიხი“, რომელიც სხვა ცნობილ ავტორთა (რუსო, გოეთე, კარამზინი) მსგავსად, დავითს „მინერ-მონერის ფორმით“ დაუნერია. „ახალ შიხს“ ქიქოძე „ეპოქის დამახასიათებელ იდეოლოგიურ ნაწარმოებს“ უწოდებს, რომელიც არის „ევროპული მოწინავე აზროვნების ერთ-ერთი პირველი გამოვლინება ქართულ მწერლობაში“. მკვლევრის შეფასებით, დავით ბატონიშვილი კარგად იცნობდა სპარსულ მწერლობას, ევროპული და რუსული სენტიმენტალური სკოლის მწერლებს და კლასიკურ მითოლოგიას.

იოანე ბატონიშვილის (1772-1839) მოღვაწეობის ასპექტების დახასიათებისას მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს მის პოლიტიკურ და სამხედრო ნიჭს, საბრძოლო მიღწევებს, 1799 წელს იოანეს მიერ შედგენილ ფართო სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტს. ნაშრომში დახასიათებულია საქართველოდან ემიგრირებული ბატონიშვილის პეტერბურგში ცხოვრების წლები, სადაც მან გრამატიკის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების რამდენიმე სახელმძღვანელო შეადგინა, დაწერა ენციკლოპედია და შექმნა მრავალტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონი, გადმოთარგმნა აბატი კონდილიაკის „ლოგიკა“, ადამ ფერგიუსონის „ზნეობითი ფილოსოფია“.

გერონტი ქიქოძე აანალიზებს იოანე ბატონიშვილის მთავარ ლიტერატურულ ტექსტს „ხუმარსწავლა ანუ კალმასობა“, ამ „თავისებურ ენციკლოპედიას“, მკითხველს თავისი დროის სამეცნიერო მიღწევებს რომ აცნობს. ქიქოძისათვის გამორჩეულია „კალმასობის“ მხატვრული ნაწილი, რომელშიც „იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ადამიანების ფსიქოლოგიაა ასახული“ (ქიქოძე 1963: 69). მეცნიერის ხაზგასმით, იოანე ბატონიშვილი „ძლიერ გონებამახვილი მწერალია“, „პირველი ქართველი განმანათლებელი, სამშობლოს საზღვრებიდან გაძევებული, მაგრამ ღრმად დაფიქრებული თავისი სამშობლოს ტრაგიკულ მგომარეობაზე“, მისი „კალმასობა“ კი – „ღრმა პატრიოტული და ჰუმანისტური ტენდენციით დაწერილი წიგნი“ გახლავთ.

პროფესიონალი, ერუდირებული მეცნიერის კვლევის არეალში მე-19 საუკუნის აღიარებული ავტორები და მათი თხზულებებიც მოხვდა. ნაშრომში „აღლექსანდრე ორბელიანი“ (1940) გერონტი ქიქოძე ლაკონურად ახასიათებს მეთვრამეტე საუ-

კუნის ქართულ ყოფას, რომელიც მას რამდენადმე შეესაბამის ზოგიერთი ტრაგედიის მეხუთე აქტს აგონებს, „სადაც თითქმის ყველა გმირი კვდება“. იმდროინდელ ახალი თაობის იდეოლოგთა შორის ქიქოძე ალექსანდრე ორბელიანს გამოყოფს, იხსენებს მის როლს 1832 წლის შეთქმულებაში და შენიშნავს, რომ ქართული საზოგადოების გარკვეულ წრეებში მწერლის პოპულარობას მისი „რომანტიკული პატრიოტიზმი“ განსაზღვრავდა.

ნაშრომში „რომანტიკოსების თაობა“ გამოყოფილია ქართული რომანტიზმის საერთო ნიშნები: პატრიოტული გრძნობის გულწრფელობა და სიღრმე, სიყვარულის განცდის იდეალისტური სინატიფე, რელიგიური მოკრძალება დიდი ისტორიული ნანგრევებისა და სასაფლაოების წინაშე, ბოლოს – შეგრძნება ფეოდალური კულტურისა, არა როგორც შორეული წარსულის, არამედ როგორც უშუალო, ყოველდღიური რეალობისა.

იმავე წერილში ქიქოძე ალექსანდრე ჭავჭავაძეს „ფერადმწერალ და მოაზროვნე“ პოეტს უწოდებს. რომანტიკოსთაგან „ყველაზე კოლორიტული ფიგურა“ გრიგოლ ორბელიანია, „ვაჟკაცურად თავდაჭერილი ტემპერამენტის ადამიანი, ერთნაირად ძლიერი როგორც სიყვარულში, ისე სიძულვილში“. მეცნიერის შეფასებით, ორბელიანის პოეტურ დამსახურება ის არის, რომ მან „დაარღვია ძველი ქართული ლექსთწყობის ნორმები და თამამად გამოიყენა ე.წ. თავისუფალი, თეთრი ლექსი“. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი „იმ ხაზის გამგრძელებელია, რომელიც ქართულ მწერლობაში შოთა რუსთაველმა დაიწყო და დავით გურამიშვილმა გააგრძელა“ (ქიქოძე 1963: 90).

მეცნიერის ინტენციით, ბარათაშვილის ფილოსოფიური პოეზია, „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითიანის“ ტექსტების მსგავსად, უღრმესი აზროვნებითაა აღბეჭდილი, პოეტი კი „გაფაქიზებული არისტოკრატი და უპირველესი ინდივიდუალისტია... მისი პოეზია პირადი სევდისა და მსოფლიო გოდების გამოხატულებაა“ (წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“). გენიალური პოეტის ფენომენის თავისებურებათა კვლევისას გერონტი ქიქოძე მოდის დასკვნამდე: „მისი სული გათიშული იყო დისონანსებით, მაგრამ ეს დისონანსები, ბოლოს, ერთდებოდნენ რაღაც უმაღლეს ჰარმონიაში“ (ქიქოძე 1963: 105).

პოეტი ვახტანგ ორბელიანი, გერონტი ქიქოძის განსაზღვრებით, ქართველ რომანტიკოსთა შორის „ყველაზე შეურიგებელი ნაციონალისტია.. ერეკლე მეორის კულტი, რომელიც ქართულ პოეზიაში გრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოიტანეს, ვახტანგ ორბელიანმა უმაღლეს წერტილამდე განავითარა“ (ქიქოძე 1963: 95). ამავე დროს, მეცნიერის აზრით, ვახტანგ ორბელიანი „ნამდვილი დასავლეთელია“, ევროპული ორიენტაციის მომხრე, ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა თაობის წინამორბედი.

თავის თეორიულ ნაშრომებში გერონტი ქიქოძემ შეისწავლა და განალიზა მე-19 საუკუნის ქართული რეალისტური მწერლობის უმთავრესი ტენდენციები. გამოკვლევაში „გიორგი ერისთავი“ მითითებულია, რომ ქართულმა ლიტერატურამ ასახა თავადაზნაურობის დანაწილების რთული, მტკივნეული პროცესი და დახატა ამ ნოდების წარმომადგენელთა ტიპები. ამავე დროს, ბურჟუაზიის ცხოვრების

ასპარეზზე გამოსვლა მწერალს მხედველობიდან არ გამოორჩენია. ამ რთული კატაკლიზმების ამსახველი პირველი მხატვარი გიორგი ერისთავი გახლდათ. მკვლევარი ახასიათებს მწერლის მონანილეობას 1832 წლის შეთქმულებაში, მის პოლონეთში გადასახლების პერიოდს, მონანილეობას ქართული თეატრის დაარსებაში, ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემაში და სხვ.

მეცნიერის შეფასებით, „გიორგი ერისთავი უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფიგურაა, როგორც ახალი გზების მაჩვენებელი და გამკვლეველი, ვიდრე მხატვარი“ (ქიქოძე 1963: 116). მის ლირიკაში გვხვდება არქაული გამოთქმები, ამასთან, კომედიები და მოგზაურობის აღწერა რუსიციზმებითაა სავსე. მკვლევარი ხაზს უსვამს გიორგი ერისთავის კომედიების დიალოგს, რომელიც ხალხურ სასაუბრო ენას უახლოვდება და ყოველი სოციალური წრისათვის დამახასიათებელ მეტყველებას ასახავს, თუმცა ის, მისი აზრით, ახალი ლიტერატურული ენის ნიმუშად ვერ ჩაითვლება.

რეალისტი მწერლის დრამატული ნაწერებიდან გერონტი ქიქოძე გამოყოფს „გაყრას“, „დავას“ და „ძუნწს“. პირველ ორ კომედიას მკვლევარი „ცხოვრების უშუალო შესწავლისა და დაკვირვების“ შედეგს უწოდებს, მესამეს – სულიერი მანკის – სიძუნწის განსახიერებას. ქიქოძის რეცეფციით, „გაყრა“ პირველი ქართული ორიგინალური კომედიაა, რომელშიც მაყურებელმა საკუთარი თავი დაინახა, პიესის კოლორიტული გმირი ივანე დიდებულები კი ქართულ ლიტერატურაში პირველი თერგდალეულის, რუსეთუმეს ტიპია. კომედია „დავა“, მეცნიერის თქმით, „ნაჩქარევად დაწერილი ნაწარმოების“ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა ძველი სასამართლოს „მკაცრ და თამამ კრიტიკას“ წარმოადგენს. გიორგი ერისთავის „ძუნწის“ გმირი აბსტრაქტული ტიპია, სიძუნწის განხორციელება, პოემა „შეშლილს“ მკვლევარი უფრო ისტორიული მნიშვნელობის ტექსტად მიიჩნევს.

1860-იანი წლების ქართველ მწერალთა მოღვაწეობისა და ნააზრევის შეფასებას გერონტი ქიქოძემ კონცეპტუალური ოპუსები უძღვნა. წერილში „ილია ჭავჭავაძის პორტრეტისათვის“ აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის კლასიკოსები ქართული ლიტერატურის ნამდვილი რეფორმატორები, წელმეგარი მორკინალნი, „ქარიშხლისა და იერიშის“ ადამიანები, ქართველი „განმანათლებელნი“ იყვნენ. ნაშრომში „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“ (1936) ავტორი აღნიშნავს, რომ ილია „ნამდვილი ჩრდილო-დასავლეთელი იყო თავისი კულტურული ორიენტაციით“, მისთვის ძირითადი კონცეპტი „გონების ძლევამოსილებისა და კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესის“ იდეა გახლდათ, მწერლის „ეროვნული მოღვაწეობის დარგი, მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო, სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა წარმოდგენილი როგორც მსხვერპლთ შეწირვა“ (ქიქოძე 1963: 133).

ხალხური გამოთქმებით, ანდაზებითა და სიტყვის მასალით ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრებას მკვლევარი ილია ჭავჭავაძის დიდ დამსახურებად მიიჩნევს. იმავე გამოკვლევაში შენიშნულია, რომ მწერალმა „შეურიგებელი ტერორი გამოუცხადა დაძველებულ ორთოგრაფიას“ და სალიტერატურო ჟანრებისა და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა“. გერონტი ქიქოძე ხაზს უსვამს ილიას

მხატვრულ ოსტატობას, მის „პლასტიკური ხილვის ნიჭს“, პეიზაჟის გადმოცემის საუკეთესო უნარს. მეცნიერის დაკვირვებით, მწერალს „იშვიათად ლალატობს მხატვრული აზროვნების გრძნობა“, ამავე დროს, „სოციოლოგიური განზოგადების ნიჭიც აქვს“.

ქართველ სამოციანელთა მეორე, აღიარებულ კორიფეს ეძღვნება გერონტი ქიქოძის ნაშრომი „აკაკი წერეთელი“ (1940), რომელშიც მოთხრობილია წერეთლების გვარზე, მწერლის ბიოგრაფიის ასპექტებზე, შემოქმედის ხასიათის სირთულეებზე, სულიერ პორტრეტზე. გერონტი ქიქოძისათვის აკაკი „პატრიოტული პოეზიის ოსტატია“. მისივე ინტენციით, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა მწერლის უძლიერეს ეროტიკულ განცდებსაც კი ჩრდილავს. თვით ტრფობა შემოქმედისათვის კოსმიური ძალაა, რომელიც დედამიწასა და ზეცას აკავშირებს. მკვლევარი ხაზს უსვამს აკაკი წერეთლის ლექსის მოქნილობასა და მუსიკალობას, მწერლის როლს სალიტერატურო ენის რეფორმაში, ხალხურ მეტყველებასთან მის დაახლოებაში. კლასიკოსი ავტორის ამქვეყნიური მისია ქიქოძემ ასე ჩამოაყალიბა: „ცხოვრება საქართველოსთვის, ცხოვრება ხელოვნებისათვის – ასეთი იყო ამ დიდი ადამიანის გზა“ (ქიქოძე 1963: 150).

ნაშრომში „აკაკი წერეთელი, როგორც პორტრეტისტი“ (1938) მკვლევარი ნიჭიერი შემოქმედის პროზას აფასებს და შენიშნავს, რომ „ჩემი თავგადასავალი“ „ყველაზე რეალისტური ნაწარმოებია მის შემოქმედებაში“. გერონტი ქიქოძე ერთმანეთს ადარებს ნიკო ნიკოლაძის მემუარებსა და „ჩემი თავგადასავლის“ ტექსტს და დაასკვნის, რომ აკაკი თავის თავგადასავალს მხატვრის ენით გვიამბობს, ნიკოლაძე – პუბლიცისტისა და მოაზროვნის ნარატივით. მკვლევარი აკაკი წერეთელს რომანტიკულ პატრიოტად მიიჩნევს და შენიშნავს, რომ „ის მაინც დიდ პორტრეტისტად რჩება ისტორიული ჟანრის ნაწარმოებში“. ქიქოძე პოეტს საერთაშორისო მასშტაბის უდიდეს ლირიკოსს უწოდებს წერილში „აკაკი წერეთლის ლირიკა“, სადაც აღნიშნულია, რომ აკაკიმ ეროტიკული ლირიკის საუცხოო შედეგები შექმნა და მის ლექსებში ტრფიალების გრძნობა დიდ ზნეობრივ იდეალებს უკავშირდება.

წერილში „ივანე მაჩაბელი“ (1954) გერონტი ქიქოძე საუბრობს ამ ტრაგიკული ხვედრის ადამიანის მთარგმნელობით თუ საზოგადოებრივ საქმიანობაზე. მეცნიერის ხაზგასმით, ოცი წლის მანძილზე მაჩაბელმა შექსპირის რვა ტრაგედია თარგმნა. ნაშრომში მაჩაბლის მთარგმნელობით ოსტატობა ამგვარადაა შეფასებული: ის „ყოველთვის ზუსტად არ მისდევს ორიგინალის ტექსტს, მაგრამ ესაა ნამდვილი შემოქმედებითი თარგმანი“.

გიორგი წერეთელს მეცნიერი მსოფლმხედველობრივად მესამე დასთან აკავშირებს. პირველი თხზულება „მგზავრის წერილები“, ქიქოძის თქმით, „უფრო მხატვრული ნარკვევია, ვიდრე ბელეტრისტული ხასიათის ნაწარმოები“. პროზაიკოსის რეალისტურ ნიჭს გერონტი ქიქოძე ბუნების სურათების დახატვაში ხედავს. ნაშრომში „გიორგი წერეთელი“ (1945) მკვლევარი მის უმთავრეს თხზულებებზე მსჯელობს. მისი დაკვირვებით, „ჩვენი ცხოვრების ყვავილში“ ავტორი ბატონყმობის პერიოდის საზოგადოებას და ძველ გამარუსებულ სასწავლებლებს ასახავს,

„მამიდა ასმათში“ კი საზოგადოებაში რეფორმის შემდგომი პერიოდის მატერიალური და სულიერი ხასიათის ცვლილებებს წარმოადგენს. „პირველ ნაბიჯს“ გერონტი ქიქოძე „ფართოდ გაშლილ სოციალურ რომანს“ უწოდებს, რომელშიც ასახულია საქართველოში „ხარბი და მტაცებლური სავაჭრო კაპიტალიზმის შემოჭრა“. მხატვრული დასრულების თვალსაზრისით ერთ-ერთ საუკეთესო ბელეტრისტულ ტექსტად მკვლევარი „რუხ მგელს“ მიიჩნევს, რომელშიც „არსებობისათვის ბრძოლა ცხოვრების უზენაეს კანონადაა გამოცხადებული... აქაც ადამიანი ადამიანის მგლადაა წარმოდგენილი.. აქაც უდანაშაულონი ილუპებიან“ (ქიქოძე 1963: 161). გიორგი წერეთელი ანალიტიკოსისათვის „საზოგადოებრივი ცხოვრების მიუდგომელი მემატანია“.

1860-იანი წლების მოღვაწეთა შორის მეცნიერი „დიდათ მნიშვნელოვან და კოლორიტულ ფიგურას“ – ნიკო ნიკოლაძეს გამოყოფს. ის მისთვის არის „ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი პირველი მედრომე საქართველოში“. წერილში „ნიკო ნიკოლაძე“ (1940) ქიქოძე საუბრობს მისი ბიოგრაფიის ძირითად მომენტებზე, ნიკოლაძის პუბლიცისტური ტექსტებიდან გამოყოფს რუსულენოვან წერილს „ოცნებათა სამეფოში“ და ა.შ.

სერგეი მესხის დახასიათებისას გერონტი ქიქოძე შენიშნავს: მას „განსაკუთრებით მკვეთრად ახასიათებს ის სტილიციზმი და ზნეობრივი იდეალიზმი, რომლითაც ასე გვხიბლავს ზოგიერთი ქართველი მოღვაწე“ (ქიქოძე 1963: 196). წერილში „სერგეი მესხი“ (1937) მკვლევარი განიხილავს მის უმთავრეს ტექსტებს და პუბლიცისტის მოღვაწეობის ასპექტებს.

მეცხრამეტე საუკუნის აღიარებულ კლასიკოსს ეძღვნება გერონტი ქიქოძის ოპუსი „ალექსანდრე ყაზბეგი“ (1945), რომელშიც საუბარია მწერლის ცხოვრებისეულ სირთულეებზე, მისი ბიოგრაფიის მომენტებზე, შემოქმედებით ინდივიდუალობაზე. მეცნიერის დაკვირვებით, ყაზბეგის ერთ-ერთ პოპულარულ მოთხრობა „ელგუჯაში“ ჩანს ყველა ის ღირსება და ნაკლი, ავტორს რომ ახასიათებს, როგორც მხატვარს. მკვლევარი ფიქრობს, რომ „მოთხრობის მთავარი გმირები ისტორიული პირები არ არიან და ავტორი ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას არ იცავს, მაგრამ ეპოქის სტილი კარგადაა დაცული“ (ქიქოძე 1963: 209).

გერონტი ქიქოძის შეფასებით, ალექსანდრე ყაზბეგი დიდი პოეტიკა, ფერმწერი, სიუჟეტის განვითარების დიდოსტატი, იგი მკითხველს სხვა, ემპირიულ სინამდვილეზე უფრო ამაღლებულ სამყაროს სთავაზობს. მკვლევარი ხაზს უსვამს ყაზბეგის მოთხრობების უღრმეს ზნეობრივ შინაარსს, მათში ასახულ პატრიოტიზმს, ძმადნაფიცობას, ვაჟკაცობას, სტუმართმოყვარეობას, სიყვარულს. ამავე დროს, აღნიშნულია „ავტორის უიმედო პესიმიზმი“, მისი რწმენა, რომ სიკეთეს ყოველთვის ბოროტება სძლევს, კეთილშობილი ადამიანები კი მარცხდებიან.

„მხატვრულ შედეგს“ უწოდებს გერონტი ქიქოძე „ხევისბერ გოჩას“. მეცნიერის მოსაზრებით, „ისტორიული ხასიათისაა მხოლოდ ამ მოთხრობის ჩარჩო, არსებითად კი ეს არის ადამიანური ტრაგედია, რომელიც შეიძლება ყველა ეპოქაში და ყოველ კულტურულ წრეში მოხდეს“ (ქიქოძე 1963: 211). მეცნიერის დაკვირვებით, თხზულებაში მონუმენტურადაა დახატული მოთხრობის ცენტრალური ფიგურა

– ხევისბერი გორჩა, რომელიც მაღალი ზნეობრივი შეგნებით გამოირჩევა, მაგრამ, ამასთანავე, უტყუარი ინსტინქტივაც არის დაჯილდოებული. გერონტი ქიქოძე ყაზბეგისა და ხალხოსნების პოლიტიკური მსოფლმხედველობის სიახლოვესაც აღნიშნავს, რაც, მისი აზრით, ყველაზე მეტად „მამის მკვლელსა“ და ნოველა „ციკოში“ ჩანს. მეცნიერის შეფასებით, ალექსანდრე ყაზბეგი „სწორი ინტუიციით გრძნობდა არა მარტო საქართველოს პეიზაჟს, არამედ მის ისტორიულ წარსულსაც“.

ნაშრომში „ვაჟა-ფშაველა“ (1935) გადმოცემულია გერონტი ქიქოძის პირველი შთაბეჭდილება დიდი პოეტის პიროვნებასა და შემოქმედებით მრწამსზე: ეს „არის ვაჟკაცობა, შეერთებული ღრმა და ფაქიზ მგრძობიარობასთან“. ვაჟკაცურია არა მარტო მწერლის ლიტერატურული ფსევდონიმი, არამედ მისი ცხოვრების გზაც, ლირიკაც, პეიზაჟიც. ქიქოძის მოსაზრებით, „ვაჟა ნამდვილი სპარტანელი იყო თავისი აღზრდით და თავისი ცხოვრების სტილით“. ნაშრომში ხაზგასმულია შემოქმედის გამახვილებულ გრძნობა ბუნების საიდუმლოების ასახსნელად, შეფასებულია მისი გმირები და ა. შ. გერონტი ქიქოძის რეფლექსიით, თანამედროვეებისათვის „გასაგები უნდა იყოს ვაჟას გმირების სიმამაცე და მოუდრეკლობა, რასაც ისინი იჩენენ მაშინაც კი, როცა მათ „სტუმარ-მასპინძლის“ გმირ ზვიადაურივით ყელზე მტრის ხანჯალი აქვთ დაბჯენილი“ (ქიქოძე 1963: 252).

ნარკვევში „ეგნატე ნინოშვილი“ (1955) გერონტი ქიქოძე ნიჭიერი მწერლის მძიმე ცხოვრებისეულ ხვედრს იხსენებს. აღნიშნულია, რომ გლეხების წრიდან გამოსულმა შემოქმედმა „პირუთვნელად ასახა გლეხკაცობა“. რაც შეეხება მწერლის კერძო ცხოვრებას, ქიქოძე შენიშნავს, რომ „ტრაგიკული ელფერი აქვს მის პირად რომანსაც“. მკვლევარი ეგნატე ნინოშვილის მეგობრების მოგონებებისა და მისი პირადი მიმოწერის ანალიზით დაასკვნის, რომ „ის თავმოყვარე და თავმდაბალი იყო ერთსა და იმავე დროს“.

მეოცე საუკუნის მწერალთაგან გერონტი ქიქოძე დავით კლდიაშვილის პიროვნებასა და შემოქმედებას გამოყოფს. წერილში „დავით კლდიაშვილი“ (1940) მემუარების მიხედვით აღდგენილია კლასიკოსის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი მომენტები. მკვლევარი გაკვირვებულია: „როგორ შეეძლო ასეთ გარემოებაში დავით კლდიაშვილს, შეენარჩუნებინა სიყვარულით გამთბარი გული, ადამიანის პატივისცემა და ნდობა, რომელიც მას ახასიათებს“ (ქიქოძე 1963: 258). მეცნიერის დასკვნით, კლდიაშვილის „სტილში არაფერია ხელოვნური... მისი აზროვნება თავისუფალია ხელოვნურობის და მწიგნობრულობისაგან“ (ქიქოძე 1963: 260). მკვლევარი აღნიშნავს, რომ გამორჩეული ნიჭის პროზაიკოსის ნაწერებში მომავალი თაობები „იპოვნინან არა მარტო შეუბღალავ ესთეტიკურ სიამოვნებას, არამედ უხვ წყაროსაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს გასაცნობად“. ქიქოძის შეფასებით, „კლდიაშვილის შემოქმედება სცილდება ეპოქისა და ტერიტორიის ვიწრო ფარგლებს“, ის ღრმად ნაციონალურია და, ამასთან, ზოგადად, ადამიანურიც. მეცნიერი ფიქრობს, რომ მწერლის იმპრესიონისტული და „ჭეშმარიტად რეალისტური პორტრეტების“ საღებავები დიდხანს არ გახუნდება, „შემოდგომის აზნაურების“ უკანასკნელი წარმომადგენლების გაქრობის შემდეგაც კი. გერონტი ქიქოძის განსაზღვრებით, მეცხრამეტე საუკუნის დიდი რეფორმისტი მწერლების

გვერდით „სინამდვილის ფანატიკოსს დავით კლდიაშვილს დიდად საპატიო ადგილი უჭირავს“.

მეოცე საუკუნეში მოღვაწე კიდე ერთი თვითმყოფადი პროზაიკოსის ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრეს მარკერებს იკვლევს ნაშრომი „ვასილ ბარნოვი. თბილისის აჩრდილები“, რომელშიც ავტორი იხსენებს მწერლის ბიოგრაფიის ერთ მომენტს: ბავშვობისას ვასილ ბარნოვი მამის, ზაქარიას, ერწოში მუშაობის დროს დამეგობრებია დეკანოზ კურდღელას, წარმართული ღმერთის კოპალა-იახსარის ქურუმს, რაც, მეცნიერის დაკვირვებით, გასაღებს იძლევა ბარნოვის შემოქმედების გასაგებად. აქ, ერწოში, გაუცნია მომავალ მწერალს ხალხური ზნე-ჩვეულებანი, შეუსწავლია პლატონის, პითაგორელების, ნეოპლატონიკოსების ფილოსოფიური ნაშრომები, რაც, ქიქოძის აზრით, მის შემოქმედებაშიც აისახა. ამავდროულად, მკვლევარი ეძებს ბარნოვის შემოქმედების მსგავსებას ახალი დროის ქრისტიანული აზროვნებასთან. კერძოდ, მისი „ტფილისის აჩრდილები“ ქიქოძეს ტიცციანის საუცხოო სურათს – „ზეციურ და მიწიერ სიყვარულს“ ახსენებს.

პროზაიკოსის შემოქმედების არსის ანალიზისას გერონტი ქიქოძე დაასკვნის, რომ ვასილ ბარნოვის იდეები „დიდად თავისებურია“, ის „უფრო მხატვრული ინტუიციით აღჭურვილი ადამიანია, ვიდრე სისტემატიკოსი ფილოსოფოსი“. მეცნიერის მოსაზრებით, ბარნოვის „ტფილისის აჩრდილები“ „ისნის ცისკრის“ შესავალს წარმოადგენს, რომელიც დანარჩენი მოთხრობებისათვის ისტორიულ ფონს ქმნის. ამ თხზულებაში მეცნიერი ხაზს უსვამს შემოქმედის მიერ წარსულის განჭვრეტის ნიჭს და ისტორიული დეტალების ცოდნას, ასევე, ბარნოვისეულ ფილოსოფიურ რეფლექსიებს.

ოპუსში „ვასილ ბარნოვი“ (1928) შეფასებულია მწერლის თხზულებები: „ტკბილი დუდუკი“, „მუშა“, „გველის ზეიმი“, რომლებიც, ქიქოძის აზრით, ფილოსოფიური მოთხრობების ციკლს წარმოადგენს. ყოფა-ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებზე ბად მოხსენიებულია ბარნოვის პროზაული ტექსტები: „ვაი შენს დამკარგავს“, „სადედოფლო სარტყელი“, „ხარატი“, „შინაური მტერი“. ქიქოძის დასკვნით, სოციალურ საკითხებს ასახავს მოთხრობები: „ფარჩის ახალუხი“, „ხურდა“, „განასკვილი სიმი“. მკვლევარი დაასკვნის, რომ ისტორიულ, ფილოსოფიურ ნაწერებსა და სოციალურ მოთხრობებში „ბარნოვი მიუკერძოებელი და უტენდენციოა“, მათში გამოსჭვივის „მისი ჰუმანურობა, მისი ფართო გული“.

საქართველოში კულტურული ტრადიციის უქონლობაზე მსჯელობს გერონტი ქიქოძე წერილში „ნინო ნაკაშიძე“ (1912) და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული დრამატურგიის ხარვეზებზე მიუთითებს. მკვლევარი გამოწვევის უნოდებს ნინო ნაკაშიძის ახალ დრამას „ვინ არის დამნაშავე?“, რომელიც, მისი შეფასებით, „მაღლა დგას ჩვენს საშუალო დრამატულ ლიტერატურაზე“. პიესაში ქიქოძე ტექნიკურ და მხატვრულ დეფექტებსაც ხედავს. მის კრიტიკას იმსახურებს პიესის მხატვრული სტილი, ფსიქოლოგიური ნიუანსები, პროვინციულ კილო და სხვ.

წერილში „პაოლო იაშვილი“ (1957) ავტორი მოდერნისტ პოეტზე საკუთარ შთაბეჭდილებებს გადმოსცემს. ქიქოძისათვის ერთგვარი პარადოქსია ის, რომ უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებისა და „ცისფერი ყანების“ ორდენის და-

არსებისთანავე პაოლო იაშვილმა ძველი თაობის ცენტრალურ ფიგურას – აკაკი წერეთელს შეუტია. პოეტის ამ ნაბიჯს გერონტი ქიქოძე ცისფერყანწელთა ინტერესების დაცვას უკავშირებს, რადგან, მისი რეცეფციით, პაოლო იაშვილი „უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვევლად“. მეცნიერი შენიშნავს, რომ პაოლო „საუცხოოდ ფლობდა ქართულ ენას“, იგი ქიქოძისათვის ძველი დროის რაფსოდებისა და ტრუბადურების სადარია: „ეს იყო იმპროვიზაციის ჯადოქარი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, აუდიტორიის სმენას ხიბლავდა“ (ქიქოძე 1963: 311).

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გერონტი ქიქოძემ რამდენიმე ოპუსი უძღვნა შალვა დადიანს. წერილში „ჩვენი მნიგნობართუხუცესი“ (1955) გატარებულია აზრი, რომ, საბედნიეროდ, მწერალს „ცხოვრებაში ბევრი საუცხოო მასწავლებელი და მეგობარი შეხვდა“. მკვლევარი მაღალ შეფასებას აძლევს შალვა დადიანის მოგონებების წიგნს და თავად ავტორს „საქართველოს მნიგნობართუხუცესს“ უწოდებს. ნაშრომში „შალვა დადიანის „გვირგვლიანების ოჯახი“ (1957) ავტორი სინანულს გამოთქვამს თანამედროვე ქართული პროზის ნაციონალური კოლორიტის დაკარგვის გამო და ამ ვითარებაში შალვა დადიანის პროზა მას გამორჩეულად ესახება. გერონტი ქიქოძე ფიქრობს, რომ პროზაიკოსს „ახასიათებს მშვენიერი ცოდნა ქართული ენისა... ლექსიკონის სიმდიდრე და გრამატიკული წყობის ბუნებრივობა, იდიომატურ გამოთქმათა უხვი გამოყენება“ (ქიქოძე 1963: 311). „გვირგვლიანების ოჯახი“ მეცნიერისათვის ტრადიციული რომანი არ არის. ის, მისი აზრით, „დოკუმენტური პროზის მიჯნაზე დგას“. შალვა დადიანის პიროვნული პორტრეტის შტრიხები იკვეთება გერონტი ქიქოძე წერილში „დასრულებული ჯენტლმენი და ხალხის მეგობარი“ (1960): „დიდი ესთეტი იყო.. სტუმართმოყვარე.. ხელგაშლილი, უანგარო... უფრო გამტანი იყო მეგობრობაში, ვიდრე სიყვარულში“ (ქიქოძე 1963: 322). დადიანის პიესებიდან გერონტი ქიქოძეს საუკეთესოდ მიაჩნია „გუშინდელნი“ და „კაკალ გულში“, ყველაზე სუსტად – მისი მინიატურები.

სტატიიაში „გიორგი ქუჩიშვილის ლირიკა“ (1956) დახასიათებულია პოეტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის მარკერები და მითითებულია: „თუ გიორგი ქუჩიშვილს დავუჯერებთ, მისი მუზა უფრო ბოროტ გენიას ჰგავს, ვიდრე კეთილს“. ქიქოძის რეცეფციით, ქუჩიშვილს „სულიერი ნათესაობა აქვს ირ. ევდოშვილთან და ყველა ქართველ და უცხოელ პოეტებთან, რომელნიც მშრომელი ხალხის ტრუბადურებად ჩაითვლებიან“ (ქიქოძე 1963: 326). გიორგი ქუჩიშვილის პოეტურ ნოვატორობას მკვლევარი იმაში ხედავს, რომ მან ქართული პოეზიის სამყარო შრომისა და ბრძოლის მოტივებით გაამდიდრა, თუმცა მის სტრიქონებში იჭრება პუბლიცისტიკაც, საიდანაც „ეპოქის ვნებანი ხმა ისმის“.

წერილში „ლეო ქიაჩელი“ (1954) ქიქოძე ახასიათებს მეოცე საუკუნის ქართველი პროზაიკოსის წერის მანერას და მიუთითებს: შემოქმედი „უპირატესად იმ ადამიანებსა და საგნებს ასახავს, რომელთაც უფრო დაახლოებით იცნობს“. იგი „თავისუფალია ყოველივე აბეზარი ეგოცენტრიზმისა, ყოველივე ეთნოგრაფიული შეზღუდულობისა, ყოველივე ადგილობრივი კოლორიტის გადაჭარბებული დიებისაგან... გმირებში... ზოგადქართულ, ზოგადადამიანურ ტიპებს ეძებს“ (ქიქოძე

1963: 337). მეცნიერი ფიქრობს, რომ ლეო ქიაჩელი ნოველის დიდოსტატია. ქიქოძეს მოსწონს მწერლის ადრეული მოთხრობები, რომლებშიც, მისი თქმით, „ავტორი უფრო პოეტია, ვიდრე ოსტატი“.

სანდრო შანშიაშვილისადმი მიძღვნილ ოპუსში გერონტი ქიქოძე მისი სატრფიალო ლირიკის რამდენიმე საუცხოო ნიმუშს განიხილავს. მეცნიერის ინტენციით, „ამ ელეგიური ხმების გვერდით... თავიდანვე ლითონის ინსტრუმენტების ვაჟკაცური ხმები გაისმა, ტრაგიკული მოტივები, რომელნიც მოწმობდნენ მის ღრმა დაფიქრებას ადამიანისა და კაცობრიობის ბედზე“ (ქიქოძე 1963: 341). სანდრო შანშიაშვილის პირველ პოემებსა და ბალადებს მკვლევარი ქართულ ხალხურ პოეზიასთან აკავშირებს. ქიქოძის შეფასებით, სანდრო შანშიაშვილი „საუცხოოდ ფლობს ქართულ ენას, მას მდიდარი ლექსიკონი აქვს“. მკვლევარს პოეტის იდილიები და პასტორალები მოსწონს, ხოლო მისი შემოქმედების მწვერვალად კახეთისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლს მიიჩნევს.

მცირე სტატია „გიორგი ლეონიძე“ (1960) მეცნიერს სიცოცხლის მიწურულს დაუწერია. გერონტი ქიქოძეს აღაფრთოვანებს გიორგი ლეონიძის „სტიქიური ტემპერამენტით დაწერილი პატრიოტული ლექსები“. მის მოწონებას იმსახურებს პოეტის არანაკლებ ძლიერი სატრფიალო ლირიკა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ლეონიძე „თავისი შემოქმედების ფესვებით ღრმად იჭრება ხალხური შემოქმედების ყამირ ნიადაგში“. წერილში აღნიშნულია, რომ ისტორიული ტრადიციის შეგნებასთან ერთად გიორგი ლეონიძეს გამძაფრებული აქვს თანამედროვე ეპოქის შეგრძნებაც. გერონტი ქიქოძის დასკვნით, პოეტმა „თავისი შემოქმედებით ხელი შეუწყო ქართული პოეტური მეტყველების განახლებას“.

წერილში „დემნა შენგელაიას „ბათა ქექია“ მეოცე საუკუნის გამოჩენილი პროზაიკოსის უმთავრესი თვისებაა ხაზგასმული: ეს არის „ვნებიანი სიყვარული ქართული ენისადმი“. გერონტი ქიქოძე ფიქრობს, რომ მწერალი ბევრს მუშაობს ენის კულტურაზე, კარგად იცნობს როგორც მნივნობრულ, ისე ხალხურ ენას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიულ ლიტერატურას. მეცნიერის აზრით, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ბათა ქექია ერთ-ერთი ყველაზე განზოგადებული სახეა: „ესაა ნაციონალური ტიპი ამ ცნების საუკეთესო გაგებით... გონებაამახვილი, მოუდრეკელი, სიცოცხლის მოყვარული“ (ქიქოძე 1963: 349). მკვლევარი გმირის ზოგადადამიანურ თვისებებს გამოყოფს და მის მონათესავედ ასახელებს ლაზარლიო ტორმესელს, გარგანტუას, ულენშპიგელს, კოლა ბრუნიონს. წერილში საუბარია რომანის მეორე შესანიშნავ სახეზე – თამაშულ დანელიაზე, ცალთვალა ცხენ-კაცზე, „უსასველო ცხენის ქურდზე“. ბათას ბედს გერონტი ქიქოძე ზოგადფილოსოფიური ასპექტით განიხილავს: „ასეთია ცხოვრება: შუქი და ჩრდილი ერთმანეთს ენაცვლებიან მორიგეობით, ცალმხრივი ოპტიმიზმი ისევე მიუღებელია, როგორც ცალმხრივი პესიმიზმი“ (ქიქოძე 1963: 351).

გერონტი ქიქოძე 1960 წელს გარდაიცვალა. მისი განსჯის არეალში არ მოხვედრილა მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის მთელი რიგი კონცეპტუალური ტექსტები და აღიარებული ავტორები. მკვლევრის სამეცნიერო და პუბლიცისტური მემკვიდრეობის ანალიზი ადასტურებს, რომ გერონტი ქიქოძემ, ქართული ლიტე-

რატურის მეტრმა და სწორუპოვარმა ანალიტიკოსმა, თავისი ნაწერებით სხვადასხვა ეპოქის ქართული მწერლობის კლასიკოსი ავტორებისა და მათი უმთავრესი მხატვრული ტექსტების პოპულარიზაციას შეუწყო ხელი და ქართული ლიტერატურული კრიტიკა ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ამის პარალელურად მეცნიერმა ღრმა გამოკვლევები უძღვნა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებსა და მათ ავტორებს, რამაც ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში მათი მყარად დამკვიდრება განაპირობა.

დამონებიანი:

ქიქოძე 1963: ქიქოძე, გ. *რჩეული თხზულებანი*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1963.

ციციშვილი, მოდებაძე 2013: ციციშვილი, თ., მოდებაძე, ი. „ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემური შესწავლა XIX საუკუნის კრიტიკულ აზროვნებაში“. *ლიტერატურული ძიებანი*. XXIV. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2013.

Manana Kvataia
(Georgia, Tbilisi)

Geronti Kikodze – Researcher of Georgian Literature

Summary

Key words: Geronti Kikodze, the history of Georgian literature, the Georgian literary canon

It is mentioned that the first course in the history of Georgian literature of the XIX century was written by Kita Abashidze. In the 20th century, the methodology of a systematic study of the history of literature and the creative discourse of classics was developed by Geronti Kikodze, whose scholarly works are of conceptual value for the study of Georgian writing of different epochs and canonization of authors. The scholar devoted several studies to Shota Rustaveli and his immortal poem. In a work entitled “The Wisdom of Balavari (old and new remarks)”, he studied the Georgian literary monument of world significance. Kikodze’s work “Sulkhan-Saba Orbeliani’s *The Book of the Wisdom and Lies*” reflects the most important moments of the biography or creative discourse of a classic. He characterizes *The Book of the Wisdom and Lies* as a masterpiece of Georgian literary prose. In his work “David Guramishvili”, Geronti Kikodze refers to the poet as “the most fundamental figure” in the history of Georgian literature and his *Davitiani* as the “source of historical knowledge” of his epoch. In his work “Ioane Batonishvili”, Kikodze deals with the biographies of the sons of Erekle II - David and Ioane Batonishvili and the aspects of their creative activity. Among the ideologists of the next generation Kikodze distinguishes Aleksandre Orbeliani, and in the work “The Generation of Romanticists” the common signs of Georgian romanticism are characterized. The scholar dedicates his fundamental

analytical letters to Aleksandre Chavchavadze, Grigol Orbeliani, Nikoloz Baratashvili, Vakhtang Orbeliani.

Geronti Kikodze researched the most important trends of 19th-century Georgian realistic literature. His works reflect the main features of Giorgi Eristavi's, Ilia Chavchavadze's, Akaki Tsereteli's, Giorgi Tsereteli's biography, their literary merits and innovativeness. The scholar also analyzed the creative legacy of Ivan Machabeli, Niko Nikoladze, Sergi Meskhi, and provided insight into the literary phenomenon of Aleksandre Kazbegi, Vazha-Pshavela, Egnate Ninoshvili. Among 20th-century prose-writers, Geronti Kikodze manifested the personal traits and creative endeavors of David Kldiashvili, Vasil Barnovi, Nino Nakashidze, Shalva Dadiani, Paolo Iashvili, Giorgi Kuchishvili, Leo Kiacheli, Sandro Shanshiashvili, Giorgi Leonidze, Demna Shengelaia. The study of Geronti Kikodze's scholarly and publicist heritage confirms that he contributed much to the canonization of the classics of different periods and their main literary texts that raised the Georgian literary canon to a new height. In addition to this, the erudite critic devoted his best works to the masterpieces of the world literature and their authors, which firmly established them in our intellectual space.